# ცნობის ფურცელი

№ 2148 კვირა, 11 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2148

**გაზეთის ფასი:** წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: პეტიტის სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ღიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდა-პირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

4 მანეთი და 50 კაპ.
ღირს ყოველდღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი"
სურათებიანი დამატებით 1 მაისიდან წლის დამლევამდე.

კვირას, 11 მაისს, **მის უდიდებულესობის კარის იგერმეისტერის თავადის**
**კონსტანტინე ივანეს ძის ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის**
გარდაცვალების მეცხრე დღეს, განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (3—3).

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუშა მაქაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:
საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.
კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (0—10)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის ვ. ხ. მუსხელაშვილისა.
(გედევანიშვილის სახლი)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

**ვ. ი. ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მუღინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

**ი. პ. ბახლოვნიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ვ. ი. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

**ბ. ვ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**ვრ. ვ. ხოდოლევსკი**—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

**ბ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

**მუსხელაშვილი,** 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **ვ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ალექსანდრის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს საყოველთაოდ, რომ 11 მაისს, 1903 წ., დღის 12 საათზე მოხდება კურთხევა **ნატალია გრიგოლის ასულის ზიოევის ძეგლისა.** ვერის სომეხთა სასაფლაოზე. (2—2)

კვირას, 25 მაისს ბანკის ბაღში და ქართულ თეატრში გაიმართება **„ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების"** სასარგებლოდ

**სახალხო სეირნობა**
საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჰავჭავაძესთან, (ნიკოლოზის ქუჩა, № 21) დ ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—11)

ე ქ ი მ ი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, ღიღი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

მ ე ზ რ ი ლ ი ა ნ ც ე
კ. დ. კობახიძე
მაღაზია იმყოფება შუა ბაზარში, არმიანსკი და სოლოლომონოვის ქუჩის კუთხეში, სახლი თუმანოვისა. ამ დღეებში მივიღებთ დიდძალ საეკლესიო ნივთებს და ხატებს.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე ზაქარიას ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
გოლოვინის ქუჩა, 38. (წლ.

სამოსახლო ადგილი
300 ჩორსი საჟ.
იყიდება
ვერაზე, ხევს იქით, სათ.-აზნ. სკოლის შენობის პირდაპირ.
იკითხეთ: „წერა-კითხვის საზოგადოებაში" ქუჩუკაშვილთან, ან ოსიპოვსკის ვიწრო ქ. კრასნოგორსკის ქუჩიდან, სახლი ხატიევისა, № 7, მე-9 ნაწილში. (10—6.—5)

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 15 მაისს 1903 წ.
ქართულ-დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება
**ვლ. მესხიშვილის სასარგებლოდ**
**დ ა ვ ა**
ანუ
«ტოჩკა და ზაპეტაია»
კომ. 5 მოქმ. გ. ერისთავისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. (3—1)

## საზღვარ-გარედ

**ბალკანეთი.** მცარე აზიიდან განუწყვეტლივ ჯარი მიდის სალონიკში და აქედან პროვინციის შუაგულისაკენ იგზავნება.

◆ „ნ. ფ. პრესე"-ს სწერენ: სალონიკში ბოლგარელი რევოლიუციონერები კიდევ აპირებდნენ დინამიტით აფეთქებასაო. სალონიკისბანკის ქვეშ ხვრელში დინამიტის პატრონებით სავსე ბოჩკა იპოვეს. პატრონებს პატრუქები ჰქონდა გაკეთებული. პატრუქები, როგორც ეტყობა, აუნთიათ კიდეც, მაგრამ გამქრალა. ეს დინამიტი პირველ აფეთქების შემდეგ უნდა აეფეთქებინათ, მაგრამ ამავე აფეთქების დროს ხვრელი დანგრეულა და ანთებული პატრუქებიც გამქრალა. სხვა ადგილებშიაც პოულობენ დინამიტს. ასე, უსკიუბში დინამიტით სავსე ბოთლი იპოვეს, ეს დინამიტი რომ აეფეთქებინათ, რაც უსკიუბში შენობებია, სულ დაინგრეოდა. ათინაშიაც, ერთ ბოლგარელ მოვაჭრის სარდაფში, ცხრა დინამიტის ყუმბარა იპოვეს. გაზ. „XX სიეკლ"-ი სწერს: ბორის სარაფოვმა 1902 წ. ზამთარში ლიუტიხში ყოფნის დროს ერთ ბოლგარელ სტუდენტის ხელმძღვანელობით ყველა ასაფეთქებელ მასალის ფაბრიკები დაიარა და რაც დინამიტი ჰქონდათ, სულ იყიდაო.

◆ უსკიუბიდან სწერენ „ნ. ფ. პრესე"-ს: კრატოვს ახლო ბოლგარელების რაზმი ოსმალებს დაეცა და ბრძოლის შემდეგ რაზმი პლინისაკენ გაიქცაო.

◆ ოსმალების რაზმი დიაკოვიდან გაქცეულ ალბანელ მეთაურებს გამოუდგა. ქალაქს ახლო ალბანელების ორ სოფელს რაზმმა ზარბაზნები ესროლა. ალბანელებმაც ესროლეს. ბრძოლის დროს სამი ოსმალო მოჰკლეს და ერთი ალბანელი. ცხრა ალბანელი დაატყვევეს. ამათში ყველა ის მეთაურები მოჰყვნენ, რომლებმაც ხალხი ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ ააჯანყეს. იმედი აქვთ, რადგანაც ეს მეთაურები დაატყვევეს, დიაკოვოში მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო.

◆ სტამბოლიდან მოსულ ცნობებს თუ დავუჯერებთ, მონასტირში ნელ-ნელა მშვიდობიანობა მყარდება. დუქნებსა და მაღაზიებს ისევ აღებენ. ჰფიქრობენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ ვაჭრობა წინანდებურად გაიმართება. მეორეს მხრით კონსულები ირწმუნებიან: სიძულვილი ოსმალებსა და ქრისტიანებ შუა უფრო და უფრო მწვავდება და ვრცელდებაო.

**ავსტრო-უნგრეთი.** ვენაში ორსავე უმაღლეს სასწავლებელში—უნივერსიტეტსა და პოლიტეხნიკუმში—უწესოება მოხდა. სტუდენტებს-ანტისემიტებს ლაპარაკი მოუვიდათ გერმანულ ეროვნულ პარტიის სტუდენტებთან; საქმე კრივამდე მივიდა. ისეთი უწესოება მოხდა, რომ მთავრობამ პოლიტეხნიკუმი დახურა, მაგრამ აღელვებული სტუდენტები მაინც არ დამშვიდდენ; ამიტომ, როგორც იუწყებიან, მეთაურების წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიება მიუღიათ; ხუთი კაცი დაუთხოვნიათ და ერთის სტუდენტისათვის ვენის პოლიტეხნიკუმში შესვლის უფლებაც ჩამოურთმევიათ. ამის შემდეგ პოლიტეხნიკუმში ისევ დაიწყეს ლექციების კითხვა. უნივერსიტეტის რექტორმა განცხადება გააკრა და სტუდენტები გააფრთხილა, უწესოებაში მონაწილეობა აღარ მიიღოთ, თორემ ეგეთი ქცევა არა თუ მარტო უნივერსიტეტის მთავრობასა და სტუდენტების უმეტესობას არ მოეწონება, იქმნება ხალხსაც ჰკუაში არ დაუჯდესო.

სტუდენტების აღელვებით სლავიანმა-სტუდენტებმაც ისარგებლეს. 1 მაისს ხორვატებმა, სერბებმა, სლოვენებმა და ჩეხებმაც კრება მოახდინეს და მოითხოვეს სამხრეთ-სლავიანებისათვის საკუთარი უნივერსიტეტი დააარსდესო. სლოვენებმა ამის შემდეგ მანიფესტაცია გამართეს და სიმღერით უნივერსიტეტისაკენ გაემართნენ. გზაში პოლიცია დაუხვდა და მანიფესტანტები გაჰფანტა.

◆ ჰუნგრეთის სეიმში ოპოზიცია დღემდე მოსვენებას არ აძლევს მთავრობას. ამას წინად ერთ სამხედრო დღესასწაულს იმპერატორი დაესწრო. იმპერატორის პატივსაცემლად ჯარმა ავსტრიის ჰიმნი შეასრულა. კოშუტის მიმდევრებს ძლიერ ეწყინათ ეს ამბავი, ამით ჰუნგრეთი დამცირდაო. კოშუტის პარტიის სახელით დეპუტატმა გოლმა პირველ მინისტრს სელს სეიმში პროტესტი გამოუცხადა: ავსტრიის ჰიმნის შესრულება ჩვენის ერის შეურაცხყოფა იყოო. დეპუტატი არწმუნებდა პირველ მინისტრს: ტყუილად თავს იწუხებთ, სულ ერთია, ვერას გაჰხდებით ვერც მაგისთანა დემონსტრაციებით და ვერც პროვინციაში განგებ, ძალით გამართულ ოვაციებითაო.

სელმა უპასუხა დეპუტატს: როცა იმპერატორი რომელსამე სამხედრო დღესასწაულს ესწრება, ჯარი, კანონის ძალით, მოვალეა, ავსტრიის ჰიმნი შეასრულოსო. ჰუნგრეთის სახელს ამით არაფერი არ დაჰშავდებაო. ამ ჰიმნით ჰუნგრეთის მეფეს ვცემთ პატივს და არა ავსტრიის იმპერატორსაო.

მაგრამ ამ დროს ოპოზიციამ ისეთი საშინელი ხმაურობა ასტეხა, რომ სელმა ვეღარ გაათავა თავისი განმარტება.

ისიც უნდა დაუმატოთ, რომ დამოუკიდებელ პარტიის წევრებს ჰიმნის შესრულების დროსავე გაუმართავთ დემონსტრაცია. ხსენებულ სამხედრო დღესასწაულს 200,000 კაცამდე დასწრებია; დაესწრებიან აგრეთვე იმპერატორი, იმის კარის კაცნი, ამალა და სადიპლომატო კორპუსიც. დაიწყეს თუ არა ჰიმნის შესრულება, სტუდენტებმა მაშინვე ყვირილი მორთეს და სტვენა დაიწყეს. სამაგიეროდ ჰუნგრეთის ჰიმნის შესრულება ძლიერ მოეწონათ და დიდი აღტაცებული ოვაციაც გამართეს.

**საფრანგეთი.** „ინდ. ბელჟ"-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: ხმა დადის, მინისტრებს დიდი უთანხმოება მოსდით ერთმანერთშიო. საზოგადო სამუშაოთა მინისტრი მარუეჟული და საზღვაო მინისტრი პელტანი ბრესტში უნდა წასულიყვნენ ერთად, მაგრამ მარუეჟულს შეეტყო, ბრესტში პელტანის პატივსაცემლად სოციალისტურ მანიფესტაციას აპირებენო და აღარ გაჰყვა.

◆ პირველი მინისტრი კომბი პარიზში დაბრუნდა; გაზეთები კიდევ სწერენ: ხმა დადის, კომბი მალე სამსახურს თავს დაანებებსო. იმის მაგიერ კლემანსო იქნება პირველ-მინისტრადო. თუ კლემანსო სამინისტროს

მეთაურად გახდება, მაშინ მის პირველ თანაშემწედ და თითქმის მარჯვენა მკლავად სასკოლო საქმის მცოდნე, ცნობილი პროფესორი ბიუისონი იქნებაო. ბიუისონი მაშინ სახალხო განათლების მინისტრობას მიიღებსო.

✦ „ჟილ ბლაზ“-ი იუწყება: კლემანსომ გაზეთ „ორორ“-ის უმთავრეს რედაქტორის თანამდებობა იკისრა. „ორორ“-ის ეხლანდელ თანამშრომლების უმეტესობა, პრესანსეს მეთაურობით, სოციალისტურ გაზ. „პტი რეპუბლიკ“-ში გადადისო.

✦ ინგლისის მეფის ედუარდ მე-VII პარიზში ყოფნის დროს ცნობილმა ზავისა და მშვიდობიანობის მომხრემ დეპუტატმა დესტურნელ-დე-კონსტანმა სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთისა და უცხო ქვეყნების პრესის კრებაზე და ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო დავა, ომისა და სისხლის ღვრის მაგიერ, მშვიდობიანად სამედიატორო სამართლით უნდა სწყდებოდესო. დესტურნელმა ესეც არ იკმარა და ამ დღეებში გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს შეატყობინა: პალატაში დაგეკითხებით როგორ შეხედეთ და რა პასუხი შეუთვალეთ ჰოლანდიასა, შვეციასა და ნორვეგიას, რომლებმაც წინადადება მისცეს საფრანგეთს, ხელ-შეკრულობა დავდოთ, რომ ამას იქით ყოველი დავა ერთმანერთში სამედიატორო სამართლით გადავწყვიტოთ ხოლმეო.

ხმა დადის, დელკასე პასუხს მისცემს დესტურნელს და გამოაცხადებს: მეც თანავუგრძნობ საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოსაო.

**ინგლისი.** 1 მაისს სკარბოროში ეროვნულ-ლიბერალურ ფედერაციის კრება მოხდა. კრებამ დაადგინა, ლიბერალები მუშებს უნდა დაუკავშირდნენ და ლიბერალურ პარტიის საარჩევნო ფონდი უნდა რიგზე მოვაწყოთო. საარჩევნო ფონდისათვის 50 ათასი გირვ. სტ. არის საჭირო,—21 ათასი ეხლავე შეკრებილი ჰქონია პარტიას. ამის შემდეგ კრებამ მრავალი რეზოლიუცია მიიღო და ეხლანდელ მთავრობის პოლიტიკა დაჰგმო.

✦ გაზეთები იუწყებიან; ლიბერალურ პარტიის რამდენმამე წევრმა 20 ათასი გ. სტ. შესწირეს პარტიის საარჩევნო ფონდსაო.

✦ 1 მაისს პრესტანში არჩევანი მოხდა: ამ ოლქის დეპუტატის, ახლად გარდაცვალებულის მიწათ-მოქმედების მინისტრის ჰანბიურის მაგიერი დეპუტატი უნდა აერჩიათ. ამ არჩევანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: აქ ლიბერალები მუშების პარტიას შეუერთდნენ და მუშების კანდიდატს ჰოჯს მიეშხრნენ. მაგრამ მუშებისა და ლიბერალების იმედი არ გამართლდა: არჩევანში მთავრობის კანდიდატმა კერმა გაიმარჯვა; კერმა 8,639 ხმა მიიღო, ჰოჯმა კი 6,490. მაგრამ ისიც საყურადღებოა, რომ მთავრობის მომხრეთა რიცხვი ერთი ორად ნაკლები იყო შედარებით იმასთან, რაც 1900 წლის არჩევნის დროს ყოფილა.

# ახალი ამბავი

✦ დღეს, 11 მაისს, საქართველოს ეგზარხოსი დედათა სამთავრის მონასტერში, მცხეთას, **აკურთხებს ახლად შეკეთებულ ეკლესიას.**

✦ დღეს, 11 მაისს, ნიკოლოოზის ქუჩაზე არსებულ რომის კათოლიკეთა ეკკლესიაში **მწირველად ტირასპოლელი ეპისკოპოსი,** რომელიც გუშინ ჩამოვიდა ბათუმიდან.

✦ ხვალ, 12 მაისს, დილით, **ტფილისში ჩამოვა რკინის გზათა ინსპექტორი** ბ-ნი მანასევიჩი. ინსპექტორმა უნდა დაათვალიეროს ამიერ-კავკასიის რკინის გზები. ბ-ნი მანასევიჩი ტფილისიდან ჯერ ბათუმს წავა, შემდეგ ყარსს.

✦ დღეს, 11 მაისისთვის, დანიშნულია **საარქეოლოგიო საზოგადოების ტფილისის განყოფილების კრება.** კრება მოხდება ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში, ნაშუადღევის პირველ საათზე.

✦ ხვალ, 12 მაისს, **ტფილისის ქალაქის საბჭოს** განსახილველად აქვს სულ 24 საქმე.

✦ **შავის-ქვის მრეწველთა** მე 4 კრების შუამდგომლობათა განსახილველად სამთო დეპარტამენტთან შესდგა კომისია. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ბ-ნი შტოფი.

✦ მიწათ მოქმედების სამინისტროს განკარგულებით, ტფილისიდან წყალთა უწყების გამგეობამ ერევნის გუბერნიაში გაჰგზავნა ტეხნიკოსთა დასი, სარდარაბადის ველის მორწყვისთვის არხების გასაყვანად. ამ ველში ჰფიქრობენ **რუსეთიდან გადმოსახლებულთა სოფლების გაშენებას.** ამას გარდა აზრადა აქვთ მდგომარე წლის ზაფხულს გააძლიერონ საირიგაციო მუშაობანი სახელმწიფო მიწების მოსარწყავად დასახელებულ გუბერნიაში. ამ ადგილებშიაც რუსები უნდა დაასახლონ. ამისათვის ზემოდ დასახელებულ დასის გარდა გაჰგზავნიან ტეხნიკოსთა მეორე დასს. თვითო დასში ხუთ-ხუთი კაცი იქმნება.

✦ ტფილისის **ვაჟთა მესამე გიმნაზიის** მთავრობამ კარგა ხანია განიზრახა საკუთარ შენობის აგება. ეხლა, როგორც გავიგეთ, საერო განათლების სამინისტრო გიმნაზიას შენობის ასაგებად სესხად აძლევს 150 ათას მანეთს. ეს სესხი ნაწილ-ნაწილ უნდა გადაიხადონ. გიმნაზიის მთავრობას უნდა სახლი ააგოს ვერაზე, სათავად-აზნაურო სკოლის შენობის მახლობლად. ამ ჟამად მოლაპარაკებაცა აქვს თურმე ადგილის პატრონთან. გეგმა შენობისა უკვე შეადგინეს და წარადგინეს დასამტკიცებლად.

✦ როგორც გვატყობინებენ, **რაჭის მაზრაში** ძლიერ გაძვირებულა სიმინდი. ამ ჟამად ფუთი სიმინდი მანეთად ისყიდება თურმე. ამის მიზეზად იმასა სთვლიან, რომ ქვემო იმერეთსა და გურია-სამეგრელოშიაც აიწია სიმინდის ფასმა. როგორც გადმოგვცეს, ზოგიერთ ვაჭრებს რუსეთიდან დაუბარებიათ 20 ვაგონი პურის ფქვილი და ჰყიდიან ფუთს 70—80 კაპ. ჯერ ჯერობით ფქვილის საწყობები გამართულია წესსა, ბუგეულსა, ონსა და სხვაგან.

✦ ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილას ბევრმა მოისურვა **ნავთიან მიწების** გამოკვლევა და დამუშავება. ნება-რთვის ასაღებად სახელმწიფო ქონებათა გამგეობას მიჰმართეს. ეხლა, როგორც გავიგეთ, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაუვალებია გამგეობისათვის, ჩქარა გადაათვალიეროს თხოვნები და ნება დართოს ადგილების დამუშავებისა.

✦ რადგან ზაფხულის მოახლოვებისა გამო ქუთაისიდან დიდ-ძალი ხილის ზიდვას შეუდგებიან, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა **სახალხო მატარებლებს ხილის საზიდად** რამდენიმე ვაგონი მოაბან ხოლმე.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისში ხელის მოწერა გაიმართა **კიშინევში დაზარალებულ ებრაელთა** სასარგებლოდ. შეიკრიბა 1000 მანეთამდე. აზრადა აქვთ ეხლა წარმოდგენა გამართონ ამავე ებრაელთა სასარგებლოდ.

✦ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულ თეატრის არტისტები ბ-ნ იუჟინისა და სხვა არტისტების პატივსაცემლად მართავენ **ქართულ თეატრში წარმოდგენას.**

✦ **თელავში არსებულ** ვაზის წამლებისა და იარაღის საწყობის გამგემ, რადგან სულ გაუყიდნია წამალი, გუშინ მიჰმართა სამეურნეო საზოგადოების საბჭოს და სთხოვა, გაუგზავნოს 300 ფუთი გოგირდი და საჭირო მანქანები.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ ზოგიერთ ქალაქის გამგეობისაგან უკვე **მიიღო პასუხი ხორცის ფასების შესახებ.** ერევანში გირვანქა ძროხის ხორცი ჰფასობს თურმე 9 კაპ., გუმბრში—8 კ., ახალბაიაზეთში—7½ კ., კავკავში—9 კ., პიატიგორსკში—8 კ., ყარსში—8 კ., ამ რიგად არსად კავკასიაში ისე ძვირი არ არის ხორცი, როგორც ტფილისში, სადაც, ხორცის დუქნების გამგე კომისიის აზრით, ნიხრი უნდა კიდევ აიწიოს და პირველ ხარისხის ხორცს 16 კ. დაედოს. კომისია ამას არა სჯერდება და თხოულობს ნიხრის სრულიად გაუქმებას. რამდენადაც გვახსოვს, ასეთი აზრი ერთხელ განახორციელეს კიდეც: 1887 წელს საბჭომ გააუქმა ნიხრი და მეორე დღესვე ფასმა 8—დან 12 კაპეიკამდე აიწია. სამის თვის შემდეგ ისევე დააწესეს ნიხრი, თუმცა ყასბებმა დიდი უკმაყოფილება განაცხადეს.

✦ როგორც გავიგეთ, სამხედრო სასწავლებლის მთავარ გამგეობას გადაუწყვეტია **ჯამაგირები მიუმატოს კადეტთა კორპუსებში მოსამსახურეებს.** ინსპექტორს, იმის თანაშემწესა და როტის უფროსებს მიემატებათ წელიწადში სამას-სამასი მანეთი, აღმზრდელებს—400 მან. მასწავლებელთ—თითო გაკვეთილში ექვს-ექვსი მანეთი. ეს მომატება ჯამაგირებისა დროებით იქმნება. სამხედრო უწყებას აზრადა აქვს ახალი შტატები შეიმუშაოს მაშინ, როდესაც საერო განათლების სამინისტრო საბოლოოდ გადასწყვეტს თავის მასწავლებლებისათვის ჯამაგირის მომატების საქმეს.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატამ ერთ თავის წევრს დაავალა **გამოიძიოს საქმე ერთის სადაო მამულის** შესახებ. ეს მამული—„სამუხი“—განჯის გუბერნიაში, ეკუთვნის შამხალი ხანს და შეიცავს 75 ათას დესეტინას. ედავება ხაზინა. დავა დაიწყო 1831 წელს, მაგრამ ჯერაც არ დასრულებულა.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ **გაგრაში მცენარეულობის გამოფენაა** განზრახული. გუშინ, 10 მაისს, გამოფენის კომიტეტმა გამოუგზავნა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წესდება გამოფენისა და სთხოვა, ხელი შეუწყოს კომიტეტს გამოფენის გამართვაში.

✦ რადგან **ცხენების გაჭენება** დიდუბეში, იარმუკაზე, შეფერხებულია იმის გამო, რომ იარმუკობის დროს ქალაქის სხვა ნაწილებშიაც არის ვაჭრობა, ქალაქის ბეითალმა მელქუმოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს, რომ იარმუკობის დროს ქალაქის სხვა ნაწილებში ცხენებით ვაჭრობა აიკრძალოს. გამგეობამ გუშინ განიხილა ეს მოხსენება და დაადგინა, დაავალოს სავაჭრო პოლიციის აგენტებს თვალყური ადევნონ, რომ ქალაქის სხვა ადგილებში იარმუკობის დროს ვაჭრობა არ სწარმოებდეს.

✦ **მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ გამოგზავნილმა** პეტერბურგის საბოტანიკო ბაღის დირექტორმა ტანტილოვმა დაათვალიერა ამერიკულ ვაზის საქარის სანერგე. შემდეგ ტანტილოვი ბათუმის ოლქსა და ზუგდიდის მაზრაში წავიდა. ქუთაისის გუბერნიაში ტანტილოვი დაჰყოფს თვე ნახევარს.

✦ უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, წელს კავკასიაში სამუშაოდ გამოჰგზავნიან იურიევის საბეითალო ინსტიტუტის **40 სტუდენტს.**

✦ **ამ ზაფხულს კავკასიას ეწვევიან ამერიკელი მეცნიერნი** პროფესორი გეოლოგი პუმპელი და პროფესორი დევისი.

✦ როგორც გავიგეთ, ბოქაული ელიზბარ გუგუშვილი ტფილისის **მაზრის უფროსის თანაშემწედ დაუნიშნავთ.**

✦ **ზანგეზურის მაზრის გადასახადთა ინსპექტორმა შეატყობინა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ ზანგეზურში ვაშლს დაყვავილების დროს ერთ გვარი ჭია უჩნდება, რომელიც ისე ავნებს, რომ ნაყოფი სულ ისპობა. ინსპექტორმა სთხოვა საბჭოს, დაუსახელოს ამ მწერთან საბრძოლველი საშუალებანი.**

✦ 18 მაისისთვის დანიშნულია კრება ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა.

✦ კომისიამ, რომელმაც ტფილისის ქალაქის ლომბარდის რევიზია მოახდინა, თავისი მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას. როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს, შარშან ლომბარდს შემოსვლია 40,035 მან. 45 კაპ., დაუხარჯნია—26,505 მან. 52 კაპ. წმინდად დარჩენია 13,524 მან. 43 კ. შარშან საბჭომ გადასწყვიტა, ლომბარდის მოგება ქალაქის კასსას მიემატოს და მოხმარდეს სწავლა-განათლებისა და ქველ-მოქმედების საქმეს. კომისია არ ეთანხმება საბჭოს გადაწყვეტილებას. იმის აზრით, მოგებით ლომბარდის ვალი უნდა გაისტუმრონ და სამოქმედო თანხა გაადიდონ.

# ფელეტონი

## პატარა ამბები

მოწყენილობაა?—სხვა-და-სხვა ამბები.—Delenda Georgia!—გორელ კორესპონდენტის წუხილი.—ეგზარხოსის მოგზაურობა.—ადამიანი იყო იგი!—მწარე სიზმარი.

მოწყენილობაა!.. გაჩუმებულა ყველაფერი, არავის არ უნდა ხმის ამოღება, არავის არ უნდა მოძრაობა: თითქოს ყველას სუნთქვაც კი ეზარებაო. ასე იცის ზაფხულის შუადღის გაგანია სიცხეში, როდესაც ბუნება ღონე მიხდილია, ხის ფოთლები აღარ შრიალებენ, ყოველი ცხოველი სადმე ღრმა ჩრდილშია მიმალული, ადამიანს ხელი აუღია მუშაობაზე, ხმა გაუკმენდავს ყველაფერს, მხოლოდ ერთი ჭრიჭინა არ ისვენებს და მეტის სიბრაზისაგან უფრო-და-უფრო ხმაურობს.

მოწყენილებაა?.. არა, არ არის მოწყენილობა! მოწყენილობაა იქ, სადაც მოსწყინდათ ასეთი თუ ისეთი ცხოვრება, აღარ უნდათ იგი და სწადიათ სხვანაირი, უკეთესი ცხოვრება. ჩვენში არ არის აგრე! მოწყენილობა მადლია, მას თან ახლავს საამო სევდა, წყურვილი დღევანდელის მდგომარეობის გამოცვლისა, მოუსვენრობა, მუდამ ფიქრი, წუხილი, ძიება. ჩვენში არ არის ეგ სევდა, რომელიც ანიჭებს ადამიანს ძალას და ჰქმნის მას მომხიბლავ და მიმზიდავ არსებად. როდესაც ნიკოლოოზ ბარათაშვილი, რომელიც ვერ დააკმაყოფილა სულ შეხუთულმა, ვიწრო ცხოვრებამ, სევდიანი მარტოთ-მარტო დადიოდა საფლავებს შორის და თითქოს მკვდრებთან ეძებდა ძალუმ სიცოცხლეს, ან მთა-წმინდას შესტიროდა უვარგის ყოფას, ან მტკვრის ბუტბუტში ეძებდა ძლიერის წარსულის ხმას, ან უიმედო და უნუგეშო თავგანწირული მიეშურებოდა თავის მერანით შორს უსაზღვრო სივრცისაკენ, იმაში მეტი სიცოცხლე და სულიერი ძალა იყო მაშინ, ვიდრე დღეს მთელს საქართველოშია!

ჩვენ არ მოგვეპოვება დღეს ნიჭი მოწყენილობისა და თუ მოგვეპოვება, ძლიერ მცირე რიცხვს ჩვენ შორის. მოწყენილობა, სევდა და ტანჯვა მაღალის ცხოვრების თვისებაა. სჩანს, ჩვენთვის ჯერ არ დამდგარია მაღალი ცხოვრების დრო...

კიდევ უფრო ამაღლებს და აკეთილშობილებს ცხოვრებას სიკვდილი: ეს ცოტა გასაკვირველია, მაგრამ მაინც ნამდვილია. სიკვდილი უკვდავად ჰხდის კერძო ადამიანს, მას შეაქვს სიცოცხლე მთელის საზოგადოების ცხოვრებაში, იგი, თავის თავად ბნელი და შესაზარი, გზას გვინათებს და გვიკაფავს სრულის არსებობისაკენ, და საყვარელია თავის ნაყოფით. ნიჭი სიკვდილისა ჰქმნის ადამიანს გმირად. სიკვდილი მხდალისა, სიკვდილი ნაძალადევი არ არის მადლი, მადლია მხოლოდ სიკვდილი თავისუფალი, და როდესაც ადამიანები თავგანწირულად, როგორც პირველი ქრისტიანენი, უშიშრად და გალობით ეგებებიან სიკვდილს, მაშინ ათი ათასებს და მილიონებს ანიჭებენ სიცოცხლეს და სიკვდილითა სიკვდილს დათრგუნვიან...

სიკვდილი, სიკვდილი იდეისა და რწმენისათვის ბედნიერებაა, უზენაესი ნიჭია ამ სიკვდილის ნიჭი. მართალია: Ave, iberia, morituri te salutant! სასიკვდილოთა სალამი ყველაზე უფრო ღრმაა, წრფელი და თბილი!..

* *

დავუბრუნდეთ ნამდვილს ცხოვრებას. იგივე ქურდობა, იგივე ავაზაკობა, ძარცვა და გლეჯა, უგზოობაა და უსკოლობა, სიღარიბე, ერთი მეორესთან ჩხუბი და უკმაყოფილება,—სხვას არაფერს **ახალს** არ იწერებიან დაბა-სოფლებიდან.

დრონი იცვალნენ და ჩვენც ვიცვლებითო, ნათქვამია. სიღნაღში ამას წინად ერთი საყურადღებო ამბავი გაურჩევია მომრიგებელ-მოსამართლეს: ერთი მღვდელი მეორეს უჩიოდა, სულ ეგ აფიცებს ხალხსაო. საქმე ისაა თურმე, რომ წინად მღვდელს დაფიცებისათვის არაფერი ეძლეოდა. ეხლა კი მოსამართლემ სასყიდელი დაუნიშნა მღვდლებს და ამან გამოიწვია ზემოხსენებული უსიამოვნება სულიერ მამათა შორისო.

ეტყობა, მარტო ერთის სულითა არ ცხონდება ადამიანი. როგორც ზევითა ვსთქვით, ბევრს რასმე და ვისმე ემდურიან ქუთაისელები, ემდურიან თუ მთელის ან ნახევრის გულით არა, მეათედის გულით მაინც. ემდურიან, სხვათა შორის, ბ. პალმს, ამ ჩვენი ცხოვრების ერთს მატლთაგანს. როგორც მოგეხსენებათ, პალმი თავის გაზეთით მთელი საქართველოს ოპოზიციაა და ყოველ წერილს ერთი და იმავე სიტყვებით ათავებს ხოლმე: delenda Ceorgia!. . .

ოღონდაც რომ მოსაწყენი ამბებია, მაგრამ ჩვენ რომ არ მოგვწყინდა მაინც?!.

* *

ნორვეგიულ ხალხურ გადმოცემით, ერთი დამნაშავე რომ გადაიცვალა, არც სამოთხეში შეუშვეს და არც ჯოჯოხეთში: ადამიანად არ იცნეს და შენთვის არც დანაშაული არსებობს და არც სიკეთეო, უთხრეს. მე მგონია, ჩვენ—დღევანდელ ქართველებსაც ეგ მოგველის.

✦ 30 მაისისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოს მუშის სამსონ მიქაძისა, რომელსაც ჰბრალდება სახელოსნოების დეპოს უფროსის მოკვლის განზრახვა.

✦ ქარელი: 9 მაისს ქარელსა და სკრას შუა მომავალ მატარებლის ორთქლმავალიდან გადმოვარდა მემანქანის თანაშემწე თ. დოლიძე და დაშავდა. დაშავებული ჯერ გორში გაჰგზავნეს, შემდეგ ტფილისში.

✦ გუშინ, 10 მაისს, მაწანწალა ძაღლების მჭერელმა მოიჯარადრემ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ იგი მაისის 15-დან 1 ივლისამდე ძაღლების ჭერას შეუდგება შემდეგის რიგით: პოლიციის პირველ ნაწილში—16, 17, 19 და 20 მაისს; მეორე ნაწილში—21, 22 და 23 მაისს; მესამე ნაწილში 27 და 28; მეოთხე ნაწილში—29 და მე-5 ნაწილში—30 და 31 მაისს.

# რუსეთის ქრონიკა

✦ სახელმწიფო საბჭოს გადაეცა განსახილველად ერთი საინტერესო პროექტი. იგი შეეხება „მუშათა სტაროსტების“ დაწესებას ქარხნებსა და მთა-მადნებში. პროექტით, სტაროსტები საქარხნო ინსპექტორისა და სამთო ინჟინერის ნება-რთვით მუშებმა უნდა აირჩიონ თავიანთ წარმომადგენლებად. ამ სტაროსტებმა მუშების მაგიერ ქარხნის ადმინისტრაციასა და საქარხნო ინსპექციასთან უნდა იქონიონ დამოკიდებულება იმ საქმეების შესახებ, რაც მუშათა დაქირავებასა და მუშათა მდგომარეობას შეეხება. საქარხნო ინსპექციას უფლება ექმნება, თუ ქარხნის პატრონს არა სურს, ძალა დაატანოს და სტაროსტები აარჩევინოს. მუშებს, ამ სტაროსტების მეთაურობით, შეეძლებათ შეიკრიბნენ და თავიანთ საქმეების შესახებ მოილაპარაკონ ხოლმე. პროექტით, საგუბერნიო მთავრობას შეუძლიან, თუ დარწმუნდა, რომ სტაროსტად არჩეული კეთილ-საიმედო კაცი არ არის, ვადამდე გადააყენოს.

✦ საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტმა ეხლა-ხან გამოსცა ახალი კატალოგი იმ სახელმძღვანელოებისა, რომელთა ხმარებაც საშუალო სასწავლებლებში ნება დართულია.

✦ ოდესიდან „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ: „გრადონაჩალნიკის თანამდებობის აღმასრულებელმა გადაუწყვიტა 19 ებრაელს და 11 რუსს ჯარიმა 500 მანეთი თითოს ან სამის თვით დაპატიმრება იმ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, რომლის ძალითაც აკრძალულია ყრილობანი“.

✦ იმავე გაზეთს ბახმუტიდან ატყობინებენ: „ჟუკოვსკის ქარხნის სამასმა მუშამ პირველ მაისს ხელი აიღო მოუშაობაზე, რადგან ქარხნის პატრონს კუთვნილი ფული არ მიეცა“.

„ველ. ოდეს. გრადან.“-ში დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება პოლიციის მიმართ: „ამ ბოლოს დროს ზოგიერთები ხელის მოწერას ჰმართავენ და შემოწირულებებს ჰკრებავენ. მოვაგონებ პოლიციას 1884 წელს 21 იანვარს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას, რომლის ძალითაც შემოწირულების მოკრება ნება დაურთველად აკრძალულია, და ვუბრძანებ სასტიკი ყურადღება მიაქციოს, რომ ფული არავინ მოჰკრიბოს. დამნაშავენი პოლიციამ პასუხის გებაში უნდა მისცეს“.

✦ ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ კიშინევიდან:“2 მაისს აქ ჩამოვიდნენ ვექილები კუპერნიკი, ტურჩანინოვი, გრუზენბერგი და სლიოზბერგი. ამ ვექილებს აზრადა აქვთ, დავა აუტეხონ ხაზინას და მოსთხოვონ 2½ მილ. მან. ამას გარდა ადგილობრივმა ვექილებმა 3000 თხოვნაზე მეტი შეიტანეს ოლქის სასამართლოში“.

✦ საბოლოოდ გადასწყდა, რომ რკინის გზის სამსახურში ახლად შემსვლელთ უსათუოდ განათლების ცენზი მოსთხოვონ.

✦ ბეჭდვითი საქმის მოღვაწენი რუსეთში აარსებენ საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებას. წესდება უკვე დაუმტკიცებია მთავრობას და ეხლა შესდგომიან საზოგადოების ორგანიზაციას. საზოგადოებას უფლება ექმნება სესხი გასცეს გამოცემებისა, სასტამბო მანქანებისა და სხვათა გირაოზე. პირველ ხანს საჭიროა საზოგადოებას 100 წევრი ჰყავდეს. წევრებად იქმნებიან გამომცემელნი, წიგნის ვაჭარნი და სტამბის პატრონნი.

✦ ვორონეჟიდან „რუსსკ. ვედომ.“-ს სწერენ: „ამას წინად მთელ ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ პირველ მაისს ებრაელები უნდა აიკლონო. ბევრი ებრაელი, ამ ხმით შეშინებული, ქალაქიდან წავიდა, ბევრი კიდევ შუა ქალაქის სასტუმროებში გადასახლდა, დანარჩენთ კარი ჩაიკეტეს და გარედ აღარ გამოსულან. ორ-სამ დღეს ქუჩასა და ბაღებში ვეღარც ერთ ებრაელს ვეღარ შევხვდებოდით. პირველ მაისს განაპირა უბნების ზოგიერთ სახლების ფანჯრებში ხატები გამოალაგეს.

✦ როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, საერო განათლების სამინისტროსთან შესდგება კომისია ქალთა სასწავლებლების რეფორმისათვის. კომისიაში მონაწილეობის მისაღებად დაიბარებენ დედათა გიმნაზიის უფროსს ქალებსა და სამოსწავლო ოლქების წარმომადგენელთ.

✦ კიშინევის გუბერნატორად ნამყოფს კონსტანტინოვიჩს დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ 10,000 მანეთი შეუწირავს.

# პრესსა

„სლოვოს“ საჭიროდ მიაჩნია დაარსდეს ქალებისათვის სატეხნიკო, სამხატვრო და სხვა სპეციალური სასწავლებლები, სადაც ქალებს შეეძლებათ ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცოდნათა შეძენა.

რუსეთში ქალები მხოლოდ თეორიულ ცოდნას იძენენ. არც ერთი სპეციალური სასწავლებელი არ არსებობს ქალებისათვის. ეს გარემოება ძალიან აფერხებს დიდ ქალაქების წარმატებას. ასეთი ქალაქები სავსეა ინტელიგენტ ქალებით, რომელთაც თეორიული სწავლა მიუღიათ, მაგრამ ეს სწავლა პრაქტიკულად ვერ გამოუყენებიათ. ათასში ერთხელ, ისიც პროტექციის შემწეობით, თუ შესძლებს ქალი ხეირიან ადგილის შოვნას. აი, ამიტომ არის საჭირო დიდ ქალაქებში ქალებისათვის სატეხნიკო და სამხატვრო-სატეხნიკო სასწავლებლების დაარსება. იშვიათია დღეს, რომ ქალს დაწესებულებასა, კანტორასა ან რკინის გზის გამგეობაში სამსახურისათვის 30—60 მანეთზე მეტი ეძლეოდეს თვეში. ასეთსავე შრომაში მამაკაცი ჩვეულებრივ ორჯერ მეტ სასყიდელს იღებს. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ქალები მამაკაცზე თუ არ უკედ, ნაკლებ არ მუშაობენ. ასეა საქმე, მაგრამ ხეირიან თანამდებობას მაინც ქალს არ აძლევენ. ეს წესი მთელს რუსეთშია გაბატონებული.

⁂

„ვესტნ. ევრ.“-ში დაბეჭდილია ნ. რიაზანცევის საყურადღებო წერილი სასულიერო სასწავლებლების შესახებ. წერილის თავში ავტორი აღნიშნავს იმ არა სასურველ პირობებს, რომელშიაც მასწავლებლები არიან ჩაყენებულნი. სემინარიებსა და სასწავლებლებში მასწავლებელთა ორი ტიპია: ერთი ასწავლის იმას, რაც თვითონ არა სჯერა და ეს გარემოება არ ეპარება მოსწავლეებს; მეორე—ურიგდება გარემოებას და დღეს ერთ ნაირად იქცევა, ხვალ მეორე ნაირად, იმისდა მიხედვით, თუ ქარი საიდან უბერავს. შემდეგ ავტორი ეხება აღზრდის საქმეს სემინარიებსა და სასწავლებლებში.

სასულიერო სასწავლებლების მთავრობამ სრულიად დაამახინჯა ქრისტეს მიერ აღიარებული თავმდაბლობის პრინციპი და თავმდაბლობის ნაცვლად მოსწავლეებს პირმოთნეობასა და თავის თავის დამცირებას უნერგავს. ამის დასამტკიცებლად იგი ძალიანა სცდილობს, რომ მოსწავლენი მალ-მალ მუხლს იდრეკდნენ ეკკლესიაში, თვალებს ზე აღაპყრობდნენ და სხვა. ყველა ამან ფარისევლობა გაამეფა. სემინარიებისა და სასწავლებლების ბნელ და მოსაწყენ კარიდორებში გავლის დროს ხშირად შეჰხვდებით კედელზე მიკრულ და სათნოებით თვალებ აპყრობილ შთამომავალს უწინდელ მოუსვენარ და სიცოცხლით სავსე „ბურსაკებისას“. ეს ყმაწვილნი სათნოებით აღსავსენი მხოლოდ უფროსის წინაშე არიან. სემინარიისა და სასწავლებლის რეჟიმი ხასიათს უფუჭებს მოსწავლეს, თვითმოქმედებისა და ინიციატორის უნარს უკარგავს და სამარცხვინო კომპრომისებს აჩვევს.

ავტორი ყურადღებას აქცევს იმასაც, რომ სემინარიელებს ხშირად სხვა წიგნებს, სასულიერო შინაარსის გარდა, არ აკითხებენ.

ტყუილად უკრძალავენ სემინარიელებს წიგნების კითხვას. სულ ერთია, ამ აკრძალვას ნაყოფი არ მოაქვს: სემინარიელნი მაინც შოულობენ წიგნებს და გატაცებით კითხულობენ.

⁂

„რუსკ. ვედომ.“-ში დაბეჭდილია წერილი ამ სათაურით: „საუფლისწულო მამულების შემოსავალი“. როგორც ვუწყით, ეს მამული რუსეთის საიმპერატორო გვარეულობას ეკუთვნის. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, წელიწადში ორთა შუა რიცხვით საუფლისწულო მამულების შემოსავალი უდრის 20 მილიონ მანეთს; ხარჯი იქმნება ათი მილიონი, ამ რიგად წმინდა მოგება წელიწადში რჩება 10 მილიონი მანეთი. საუფლისწულო უწყებას აქვს ტყეები, სახნავი ადგილების შაქრის ქარხნები, ვენახები და სხვა. ღვინის ვაჭრობა ჯერ ახალი საქმეა, ამიტომ ბევრ მოგებას ვერ იძლევა. 1896 წელს, მაგალითად, ღვინის ვაჭრობით უწყებას წმინდა დარჩენია 240 ათასი მანეთი. დღეს საუფლისწულო უწყებას სულ 700 დესეტინა ვენახი აქვს.

## ტფილისის თავად-აზნაურთა მორიგი კრება

### 10 მაისის კრება

კრებას მოახსენეს იმ კომისიის აზრი, რომელიც თავად-აზნაურობამ აირჩია შემდეგის საკითხის გადასაწყვეტად: რა წესით უნდა აღიძრას შუამდგომლობა საშუალო სამეურნეო სასწავლებლის გახსნის შესახებ უმაღლესად ბოძებულის ფულით. კომისიამ მოახსენა კრებას: უმაღლესად ნაბოძები ფული სამეურნეო სასწავლებლის გახსნას მოხმარდეს, ხოლო ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებმაც რომ მიიღონ ამ სასწავლებელში სწავლა-განათლება, ამისათვის თან-და-თანობით გადაიდოს ის თანხა, რომელიც უმაღლესსა და საშუალო სასწავლებლებში მოსწავლეთავის დასახმარებლადაა დანიშნული, იმის მიხედვით რაც ბანკის მოგება იმატებს და სხვა ხარჯებიც იკლებს, მაგრამ ისე, რომ ეს ფული მოხმარდეს საშუალო სამეურნეო სასწავლებლებში მოსწავლეთ, რომელთა რიცხვი უნდა ასამდე ავიდესო. ამასთანავე კომისია საჭიროდ სთვლის: როცა სამეურნეო სასწავლებლებლის დაარსებაზე სათხოვარს აღვძრავთ, იმავე დროს ვითხოვოთ, რომ ამ სასწავლებელში თავად-აზნაურების შვილებს ასი ადგილი ჰქონდეთ დათმობილი ფულის გადახდით. საშუალო სასწავლებლის ტიპის გარჩევის დროსა და რა ადგილს უნდა გაიხსნეს სასწავლებელი, მიწვეულ იქმნენ თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი და მცოდნე კაცნი თავად-აზნაურთაგან, რადგან ამათი მონაწილეობა უფრო გაუადვილებს მთავრობას მომავალ სასწავლებლის სამეურნეო მნიშვნელობის ცხადად გამოკვლევას.

კრებამ მიიღო ეს მოხსენება კომისიისა და ისიც გამოაცხადა: თუ საჭიროება მოითხოვს, თავად-აზნაურობა შეიძლებს ბანკის მოგებიდან შეინახოს შეუძლო თავად-აზნაურთა შვილნი.

კარგა ხანს კამათი გამოიწვია წარსულის წლის მოგების განაწილებაზე რომ ჩამოვარდა ბაასი. გორის თავად-აზნაურთა დადგენილების თანახმად, ქართლში ვიწრო ლიანდაგის რკინის გზის გასაყვანად საჭირო იყო პირველ ხნობით ხუთას თუმნამდე ხარჯი. ამ ფულს სთხოვდნენ სესხად საგუბერნიო კრებას, მაგრამ ბევრი წინააღუდგა ამ სათხოვარს. ბოლოს კენჭზე წავიდა საქმე და 68 ხმით წინააღმდეგ 30-ისა კრებამ უარჰყო სესხის მიცემა.

დანარჩენი მუხლები მოგების განაწილებისა კრებამ მიიღო ასე: სათავად-აზნაურო სკოლას 82.184 მანეთი 19 კაპ., ტფილისისა და თელავის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელს 200 თუმანი და ეს ფული წმ. ნინოს საზოგადოების თავმჯდომარეს კნეინა მ. თ. გოლიცინისას გაეგზავნოსო; გორის ქალთა

---

ერთი გორელი კორესპონდენტი აგვიწერს გორის სამოქალაქო სკოლის წლიურს აქტს: ინსპექტორმა წაიკითხა წლიური ანგარიში, ბავშვებმა წაიკითხეს რუსული ლექსები, იმღერეს რუსული სიმღერები და განსაკუთრებით მშვენივრად შეასრულეს მალოროსსიული სიმღერაო. „დასასრულ დაურიგეს საუკეთესო მოწაფეებს საჩუქრები და ნაშუადღევის სამ საათზე მოწვეული სტუმრები დიდად ნასიამოვნები დაიშალნენ და დიდს მადლობას უძღვნიდნენ ამ სასწავლებლის მასწავლებლებს. მხოლოდ გულ-ნაკლულნი დარჩნენ ზოგიერთი ბავშვების მშობლები, რადგან ყველაფერი სრულდებოდა მათთვის გაუგებარ ენაზე. დიდად სასიამოვნო იქმნებოდა მათთვისაც, რომ ერთი და ორი სიმღერა და ლექსი ბავშვებს ქართულადაც ეთქვათ. ამისთვის, მგონი, არც არავინ შეჰრისხამდა და არც მომაკვდინებელს. ცოდოს ჩაიდენდნენო.“

**

რამდენიმე ცუდი ამბავი დავასახელე ზემოთ ჩვენის ცხოვრებიდან. მაგრამ რაც უნდა მიყუჩებული იყოს ცხოვრება, შიგ სიცოცხლის ყოველივე ნასახი მაინც არასოდეს არ მოისპობა. რაც უნდა სქელი ყინულით იყოს დაფარული მდინარე, ქვეშ მაინც წყალი მოძრაობს და მიდის წინ. სოფელში დღესაც შეხვდებით აქა-იქ ერთ ორს ადამიანს, რომელნიც ჩუმად, დაუღალავად და პატიოსნად ემსახურებიან საზოგადო საქმეს. ამ ერთი თვის წინად ქუთაისის მაზრის ს. საჩინოში გარდაიცვალა პარმენ ლორთქიფმანიძე, რომლის კუბოს გასვენების დღეს სამი გვირგვინი ამკობდა. ერთზე ეწერა: „ჩვენს ერთგულს ძვირფას ძმას და საზოგადო მოკეთეს ვანის საზოგადოების გლეხებისაგან“; მეორეზე—„ჩვენს ძვირფასს და დაუვიწყარ მოღვაწეს ვანის საზოგადოების ებრაელთაგან“ და მესამეზე „...დვალიშვილების საზოგადოების გლეხებისაგან“. გარდა ამისა ადგილობრივი სკოლის შაგირდებმა განსვენებულის კუბო ცოცხალი ყვავილებით შეამკეს. ეს გვირგვინები ახასიათებენ განსვენებულის ვინაობას.

განსვენებული არავითარს თანამდებობას არ ასრულებდა. ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, მერე უნივერსიტეტში იყო სამ წელიწადს თავისუფალ მსმენელად, იქიდან დაბრუნებული სოფელში ცხოვრობდა და გლეხებს ეხმარებოდა საქმით თუ სიტყვით. სხვათა შორის ადგილობრ სკოლისთვის შეუწირავს ადგილი და ასაშენებელი მასალა, სიკვდილის შემდეგაც დაუტოვებია ფული სკოლისთვის, უფასოთ დაუთმია გლეხებისათვის კარგი დიდი საბალახო ადგილი, ყველა გლეხს იმ ფასად შეაყიდა მიწები, რა ფასის გამოღებაც შეეძლოთ, ნამდვილი მეგობრული განწყობილება ჰქონდა გლეხებთან და ისე არ მიმართავდა მათ, თუ არ ძმისა და მამის სახელით, ყოველთვის მათი გულწრფელი მრჩეველი და დამრიგებელი იყო, არა ერთი და ორი საქმე გაუკეთებიათ გლეხებს მისის რჩევით, მისთვის ერთი იყო ქრისტიანი ქართველი და ებრაელი.

„ადამიანი იყო იგი!“ ცოტანი არიან ასეთი ადამიანები, მაგრამ მით უფრო ბრწყინავენ, უფრო ანათებენ ბნელით მოცულს ცხოვრებას.

**

სამწუხარო სიზმარი უნახავს ჩვენს დავითს. თავითს ის დღე დღედ არ მიაჩნდა, თუ მთელს ცხვარს არ გაათებდა, თანაც რამდენიმე თავს ბოზბაშს, არტალას, ჩახოხბილს არ მიირთმევდა და ოთხს ბოთლს ღვინოს არ დააყოლებდა ზედ.

ერთი ახირებული ჩვეულებაც სჭირდა: ლაზათიანად, თავისებურად რომ გაძღებოდა, დაწოლის წინ გაშლილს სუფრას ლოგინის წინ დაიდგამდა და ამ მშვენიერის სურათის და ბატკნის საამო სუნის შემწეობით მეტის-მეტად ტკბილად იძინებდა ხოლმე. მაშინ საქართველოც ბედნიერი, კმაყოფილი და დიდებული ეჩვენებოდა ჩვენს დავითს. გამოიღვიძებდა და სულ ოპტიმიზმსა და იდეალიზმზე ჰქონდა ლაპარაკი.

მაგრამ ერთხელ უბედურება შეემთხვა. რაღაც სახიფათოთ მსახურს გაშლილ სუფრაზე საინების ქვეშ (რომლებზედაც ცხვრის ხორცი ელაგა) „ცნობის ფურცლის“ და „კვალის“ ფურცლები დაეფინა. დავითმა დაინახა ეს ვახშმობის დროს, მაგრამ ისე გატაცებული იყო გემრიელის ლუკმით, რომ ყურადღება არ მიუქცევია. გაძღა და დაწვა, და საშინელი სიზმარი ნახა. ნახა, რომ თვითონ შემწვარ ბატკნად გადაქცეულიყო და ურიცხვი . . . . დასეოდა და უმოწყალოდ კბენდა და ჭამდა. იტანჯებოდა დავითი, ჰკვნესოდა და ოხრავდა. უკვირდა: ვინ . . . . . და ვინ შემწვარი ცხვრის ხორციო. მაგრამ შემწვარი ცხვარი რომ თვითონ დავითი იყო?... ხან-და-ხან ისიც ეჩვენებოდა, რომ საქართველო და იგი ერთი იყო. იღუპებოდა მშვენიერი ცხვრის ხორცი, იღუპებოდა დავითი, იღუპებოდა ქართველი ერი.

ვაი ჩვენი ცოდვაო—დავითმა ტირილიც კი დაიწყო.

ასე მწარედ გაატარა მთელი ღამე. ადგა მეორე დღეს და ლანძღვის წერილი გაუგზავნა გაზეთს . . . წინააღმდეგ.

სიტყვა.

Дозв. ценз. Тифлисъ, 10 мая, 1906 г.

პროგიმნაზიას 100 თუმანი. ტფილისის ვაჟთა გიმნაზიებს და რეალურ სასწავლებელს თითოს 72 თუმანი, სულ 288 თუმანი; ეს ფული სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გაეგზავნოს, მაგრამ იმ პირობით, ამ სასწავლებელთა სამზრუნველოებში თავად-აზნაურთაგან წარმომადგენელნი იყვნენ, რის ნებას თვითონ კანონი აძლევს ყველა იმას, ვინც 72 თუმანზე ნაკლებს არა სწირავს ყოველ წელს ამა თუ იმ საშუალო სასწავლებელს.

იმ სხვა-და-სხვა დაწესებულებათ და საზოგადოებებისათვის, რომელნიც თავად-აზნაურობას მიჰმართვენ ხოლმე ფულის შეწევნისათვის, კრებამ გადასდო 300 თუმანი და ამის განაწილება მიანდო წინამძღოლთაგან და თავად-აზნ. დეპუტატთა საერთო კრებას. უბედურებისაგან დაზარალებულთათვის—300 თუმანი. უმაღლესს სასწავლებლებში მოსწავლეთა დასახმარებლად 20 ათასი მანეთი; მომავალ ქალთა სკოლას, რომელიც ამ წლის სექტემბრიდან უნდა გაიხსნას—10 ათასი მანეთი.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ უმაღლესად დამტკიცებულის დებულების თანახმად, თავად-აზნაურობას შეუძლია თავის შვილებისათვის პანსიონი-თავშესაფარი დააარსოს. თუ ამას მოისურვებთ, მთავრობა თვითონ მიიღებს თავის თავზე პანსიონის აშენების ერთ დროულ ხარჯებს და მერე ყოველ წლივ იმდენს მისცემს, რამდენსაც თვითონ თავად-აზნაურობა გადასდებს ხარჯად. კომისიისა და წინამძღოლთა საბჭომ 20 ათასი იანგარიშა ამ საქმის განსახორციელებლად. კრებამ დაამტკიცა ესეც.

სამეურნეო თანხიდან წინამძღვარიანთ სკოლას ყოველ წელს 800 თუმანი ეძლევა. ამ ხანად სკოლას მეტად ესაჭიროება სკოლის გასაფართოებლად 244 თუმანიო—მოახსენა კრებას თავმჯდომარემ, ასე რომ წელს ამ სკოლას ესაჭიროება 744 თუმანი, რომელთაგან 244 თუმანი მხოლოდ ერთ დროულადო. კრებამ მიიღო ეს ხარჯიც.

თავად-აზნაურთა საკრებულოს მდივანს ზ. დ. ასლამაზოვს 50 წელიწადი უმსახურნია თავად-აზნაურობისათვის, აგრეთვე იმისთანაშემწეს ს. ე. ჯავროვსა. ეხლა ეს ორი ნამსახური კაცი სამსახურს თავს ანებებენ და, კანონით, თავად-აზნაურობა მოვალეა ნამსახურობის პენსია დაუნიშნოს ამათო—მოახსენა თავმჯდომარემ კრებას.

წინამძღოლთა საბჭომ ბ-ნ ასლამაზოვისათვის განიზრახა 60 თუმანი პენსია და ბ-ნ ჯავროვისათვის 30 თუმანი.

კრებამ ტაშის ცემით მიიღო ეს წინადადება და დაადგინა: ბ-ნთ ასლამაზოვსა და ჯავროვს დიდის ხნის სამსახურისათვის მადლობა გამოეცხადოთ; დაენიშნოთ: ზ. ასლამაზოვს 60 თუმანი პენსიად და ერთდროულად 30 თუმანი; ს. ჯავროვს 30 თუმანი პენსია და ერთდროულად 20 თუმანი.

დეპუტატთა საკრებულოს შესანახად გადასდეს 8160 მან., მაზრის წინამძღოლთა კანცელარიის ხარჯებად 3600, სულ 11.760 მან. საკრებულოს შესანახ ხარჯებში ახალი ხარჯია საგუბერნიო წინამძღოლის პირად მდივნის ჯამაგირად 2100 მანეთი. თავად-აზნაურთა მდივანს მომავალში 900 მანეთის მაგიერ 1500 მანეთი უანგარიშეს წელიწადში.

კრებამ ეს მოხსენებაც მიიღო.

სულ გასანაწილებელი ფული ნაკლები იყო მიღებულ ხარჯებთან შედარებით 17.071 მან. და 71 კაპეიკით. კრებამ დაადგინა, ეს ზედ-მეტი ფული თავად-აზნაურთა ქარვასლის შემოსავლიდან იქმნეს შევსებულიო.

ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ თავად-აზნაურებზე გაწერილი გადასახადი დეპუტატთა საკრებულოს შესანახად აქამომდე იყო $3/4$ კ. დესეტინა მამულზე და ფულს იხდიდნენ მარტო სოფლის მესაკუთრენი, კრებამ დაადგინა: სოფლის მამულზე გადასახადი დესეტინაზე დაწესდეს 1 კაპ., ხოლო ქალაქის მამულებზედაც დაწესდეს 3 კაპ. გარდასახადიო. ვისაც სოფლად 10 დესეტინაზე ნაკლები მამული აქვს, იმათ არაფერი არ გადაიხდებათ გუშინდელის დადგენილების ძალით.

კრება დღეს შუადღემდე გადაიდო. დარჩათ ერთი საგანი განსახილველად: სათავად-აზნაურო სამეურნეო თანხის დებულების პროექტის განხილვა. მერე უნდა არჩევნებიც მოხდეს.

# სასამართლო

### ყალბი ფულის მოჭრა და გასაღება.

გუშინ, 10 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქ. ქუთაისის მცხოვრების მიხეილ მირიანაშვილისა და შორაპნის მაზრის სოფელ დიდიკაურის მცხოვრების გარსევან ჩუბინიძისა. პირველს ბრალად ედებოდა ყალბის ფულის მოჭრა, ხოლო მეორეს—გასაღება. როგორც საქმიდან ჩანს, საქმის გარემოება შემდეგია: 1902 წელს ყვირილაში მეპურეტ ჯაფარიძისთვის ჩუბინიძეს ერთი ჩიქა არაყი მოუთხოვნია და 50 კაპეიკიანი მიუცია. ჯაფარიძეს სადამოს უნახავს, რომ ათ შაურიანი ყალბი იყო. ჩუბინიძეს მეორე დღესაც ასეთი ათ-შაურიანი გადაუცია იმისთვის. ჯაფარიძეს ფული აღარ მიუღია. მაშინ ჩუბინიძეს ნამდვილი ფული ამოუღია. ჯაფარიძეს ეს ამბავი უცნობებია პოლიციისთვის, რომელსაც ჩუბინიძე პოლიციაში წაუყვანია. გზაზე პოლიციელს შეუნიშნავს, რომ ჩუბინიძემ რაღაც ჩვარში გახვეული დააგდო. გახსნეს და ჰნახეს, რომ შიგ ედვა 13 მანეთამდე ვერცხლის ფერი მანეთიანები. პოლიციაში გაჩხრეკის დროსაც აღმოაჩნდა ყალბი ფული ცხვირ-სახოცში გახვეული ჩუბინიძე არ გამოტეხილა. მაშინ ბოქაულის განკარგულებით, პოლიციელი დათაშვილი, ვითომდა მთვრალი, დაუპატიმრებიათ იმ ოთახში, სადაც ჩუბინიძე ეწვა. დათაშვილს გაუგონია ჩუბინიძე მეორე პატიმარს როგორ უამბობდა, რომ ეს ფული გადმოეცა მიხეილ მირიანაშვილისაგან. ბოქაულს გაუჩხრეკია მიხეილ მირიანაშვილის სახლი, სადაც უნახავს ექვსამდე სხვა-და-სხვა მანქანა ყალბი ფულის საჭრელი. გაუჩხრეკიათ აგრეთვე ჩუბინიძეც და იქ ორი მანქანა უნახავთ. ორივე ბრალდებული პასუხის გებაში მიუციათ. ქუთაისის ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ბრალდებულნი და გადაუწყვეტია მირიანაშვილისთვის ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და კატორღაში 4 წლით გაგზავნა, ხოლო ჩუბინიძისთვის—ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 5 წლით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ გუშინ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მაისი.

**პეტერბურგი.** გუშინდელ დეპეშაში შეცდომით იყო სიმბირის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ვილნის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად დანიშვნის შესახებ; „პრავიტ. ვესტ."-ში დაბეჭდილი იყო: „სიმბირის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს პოლივანოვს, ვილნის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს გრაფ პალენს და წმ. ოლგას სახელობის ბავშვთა სამკურნალოს საპატიო მზრუნველს გრაფ ორლოვ-დავიდოვს ყოვლად მოწყალედ უბრძანებიათ იქმნენ გოფმეისტერის თანამდებობის აღმასრულებლად.

**პეკინი.** გამოცხადებულია იმპერატორის ედიქტი, რომ მეამბოხეებმა აიღეს სათემო ქალაქი ლინიან-ფუ. ნაბრძანებია, რომ ამბოხება დაუყოვნებლივ ჩაქრობილ იქმნას.

**პარიზი.** დღეს მინისტრთა საბჭოს კომბმა აუწყა, რა ზომებით ჰფიქრობს დაიცვას საზღვრები მაროკოს მხრით.

**ბრესტი.** მერმა მიიღო პეტერბურგის საბჭოს მოპატიჟება 200 წლის დღესასწაულზე. მუნიციპალურმა საბჭომ კითხვა დასვა მერის წასასვლელად საჭირო კრედიტის შესახებ.

**შერბურგი** მუნიციპალურმა საბჭომ გადასწყვიტა პეტერბურგში დეპუტაცია იქმნეს გაგზავნილი.

**ბერლინი.** რადგანაც პეტერბურგიდან დეპეშები მოვიდა, ობერ ბურგომისტრი გაემგზავრება იქ 200 წლის დღესასწაულზედ დასასწრებლად.— აქაურ გაზეთებს ლონდონიდან ატყობინებენ, რომ იქ მწარე გრძნობა გამოიწვია იმ ფაქტის გამოქვეყნებამ, რომ სამხედრო მმართველობას საჯარო ვაჭრობით გაუყიდნია ათასი საპანი, რომლებიც სამხრეთ-აფრიკიდან დაბრუნეს და რომლებსაც იქ ტიფიან ავადმყოფების ჰოსპიტალში ხმარობდნენ. ეს იმიტომ გამოაშკარავდა, რომ საპნების გაყიდვის შემდეგ გემზედ რამდენიმე კაცი ავად გახდა. საპნებს ეხლა დიდი ბრიტანიის 150 ქალაქში სძებნიან. ფაქტი პარლამენტში განიხილება.

**სოფია.** სამმართველო წრეებში ლაპარაკია ორი დელეგატის კონსტანტინეპოლში გაგზავნის შესახებ პორტასთან მოსალაპარაკებლად მაკედონიის კითხვის გადასაწყვეტად.—საერო კრება დათხოვნილ იქნება; ახალი არჩევნები სექტემბერში მოხდება.—ადრიანოპოლის ოლქიდან მოვიდა 100 გამოქცეული.

**სოფია.** ის ცნობა, რომ კრიზისის მიზეზი რადევის დათხოვნის სურვილია, სწორე არ არის. დასაჯერებელი არ არის აგრეთვე, რომ დანევისათვის ეთხოვოთ ახალი კაბინეტის შედგენა. არა ჩვეულებრივმა სასამართლომ სალონიკში დაიწყო დამნაშავეების განთავისუფლება, რიცხვით 300. დამნაშავედ ცნობილია ჯერ მხოლოდ 8 კაცი. სულთანმა წაართვა უფლება სიკვდილით დასჯის დაუყოვნებლივ შესრულებისა. სასამართლოს დადგენილებანი უთუოდ კონსტანტინეპოლში უნდა იყოს დამტკიცებული.

— დიპლომატიურ წრეებმა ხელ-ახლად მიიღეს ცნობა, რომ მონასტირის ამბოხებაში დამნაშავეა ოსმალეთის პოლიცია.—პეტროვის კაბინეტმა პორტა დაარწმუნა, რომ იგი სრულიად ლოიალურად იქცევა და მოითხოვა, რომ ბოლგარელების დევნა შეჩერებულ იქმნეს.

**უფა.** თავად-აზნაურობამ გადაიხადა პანაშვიდი უღმერთოდ მოკლულ გუბერნატორის სულის მოსახსენებლად და გახსნა ხელის-მოწერა იმის სახელობაზე სტიპენდიების დასაარსებლად. განუწყვეტლივ მიდის დეპუტაცია, რომელთაც 50-ზე მეტი გვირგვინი დაადვეს.

**რომი.** სალერმოში მიწის ძვრა მოხდა.

**სოფია.** უკანასკნელი ცნობები მაკედონიიდან დამამშვიდებელნი ვერ არიან. ბაზარჯიკის ოლქში მოვიდა 50 ახალი გამოქცეული ოჯახობა.—„ევენინგ პოსტი" გვარწმუნებს, რომ რაზლოგის ოლქში ძლიერდება მოძრაობა, რომელსაც მცხოვრებლებიც უერთდებიან. მოძრაობა კავალამდის ვრცელდება.

**კონსტანტინეპოლი.** აქ ყველა გააკვირვა იმან, რომ ბულგარიის ახალი კაბინეტი ასე მოხერხებულად შეადგინეს; მით უმეტეს ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ კაბინეტი შესძლებს გაიყვანოს თავისი პოლიტიკა, რომელიც მაკედონიაში მოძრაობით გამოწვეულს განსაცდელს აიშორებს. სასანიტარო საბჭომ ხუთი დღის კარანტინი დააწესა ალექსანდრიიდან გამოსაზიდ სურსათზე, ხოლო ეგვიპტის სხვა ქალაქების ნავთ-სადგურიდან გამოტანილ სურსათზე—ორის დღისა.

**ლონდონი.** როგორც „ტაიმს"-ს ატყობინებენ ტოკიოდან, ფლოტის გაძლიერების ახალ პროგრამმაში სამი ჯუმბარიანის გემის გაკეთებაა შეტანილი და სამიც კრეისერისა.—პეკინიდან გვატყობინებენ, რომ ჩინეთის მმართველობა ძლიერ შეწუხებულია მთავრობის წინააღმდეგ მოძრაობით პროვინცია იუნნანში. ქალაქ იუნნანს მეამბოხეთ ალყა შემოარტყეს. საფრანგეთის კონსულის სიტყვით, მდგომარეობა ძლიერ საშიშია, საფრანგეთის საზღვარზე ტელეგრაფი აღარ მუშაობს.—ლინიანფუს პრეფექტი, როგორც „ტაიმს"-ს ატყობინებენ, მოუკლავთ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

**განცხადებანი**

**მცხეთაში იყიდება**

იაფად და შეღავათიანის პირობებით ნაჭრებად დაყოფილი სააგარაკო ადგილები, რკინის გზის სადგურის მახლობლად. ფულის გადახდა მყიდველს შეეძლება სამის წლის განმავლობაში. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება რკინის გზის ტფილისის სადგურის პირველ კლასის ბუფეტში ყოველ დღე.

ესტატე ჩხარტიშვილი
(6—85—1)

**№ 4711**

**ო-დე-ლი**

**EAU DE LYS**

თეთრი,ვარდისფერი და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფერდ. მიულჰენსი
კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის. (მც. 1—8)

**ქუთაისში**

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—48)

**ისყიდება მამული**

ვერაზე, სათავად-აზნაურო სკოლის ახალ შენობისა და მართლ მადიდებელ სემინარიის ადგილის შუა, ზომით 8000 ოთხკუთხი საჟენი. მამულის ყიდვა მსურველს შეუძლიან საჟენობით; შეიძლება ერთადაც. ერთად უფრო იაფად დაეთმობა მსურველს. იკითხეთ წყნეთის ქუჩის მისავალში, მარჯვნივ მედუქნე შაქრო და ვაგზალნი ქუჩაზე, „სვეტ"-ის რესტორანში, მებუფეტე სოფრონ ხვედელიანი. (4—2)

**ქართველ ქალთა ამხანაგობის**

**სამკერვალოში**

მიიღება შესაკერად ყოველგვარი ხელ-საქმე: თეთრეული, ფერადის ძაფებით შესაკერავები და **კაბები** ქალებისა და ბავშვებისათვის.

ბარონის ქუჩა, № 12. (უ. 12—9.

**სასტუმრო „ავრორა"**

მიხეილის პროსპექტზე, ვარანცოვის ძეგლთან.

ეს საუცხოვოდ მოწყობილი სასტუმრო ნომრებით, ყვავილიანის ბაღით, რესტორანით და ცალკე საოჯახო-სასადილო-ვახშმო კაბინეთებით, 26 აპრილიდან შევიძინე და გავხსენი ახლად. მაქვს ევროპიულ-ადგილობრივი საჭმელ-სასმელები. სადილი: 50 კ.—2 კერძი, ჭიქა არაყი, ღვინო და ფინჯანი ყავა; 70 კ.—3 კერძით; 1 მ.—4 კერძი და $1/2$ ბოთლი ღვინით. ლუდი ჭიქით. ფასები ყველაფერზე ხელ-მისაწვდომია. ღვინოები 30 კაპეიკიდან, ოთახები ძლიერ დაკლებულ ფასებში.

(6—86—1) პატრონი სასტუმროსი მგზავრი გ. გაბაშვილი

**მაზოლის სითხე ჰოლლენდერ**

მაზოლი მაშინვე ჰქრება, თუ იხმართ მაზოლის სითხეს **ჰოლლენდერ**, სრულიად ტკივილს არ იგრძნობთ. ფასი თითო ფლაკონისა 35 კაპ., ორი ფლაკონი იგზავნება ფოსტით 1 მანათად ა. ჰოლლენდერის ლაბორატორიიდან, პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქუჩა, № 13. ისყიდება იმპერიის ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (6. 4—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 10 мая, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)